

საქმის დასახელება - ბარანი და ჰუნი თურქეთის წინააღმდეგ

საჩივრის ნომერი - 30685/05

მოპასუხე სახელმწიფო - თურქეთი

გადაწყვეტილების მიღების თარიღი - 20/05/2010

შედეგი:

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (მატერიალურ სამართლებრივი ასპექტი)

დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი (პროცედურული ასპექტი)

დაირღვა კონვენციის მე-6(1-გ) მუხლი

განსხვავებული აზრი: არა

საკვანძო სიტყვები:

(მუხლი 3) წამების აკრძალვა

(მუხლი 3) ეფექტიანი გამოძიება

(მუხლი 3) წამება

(მუხლი 6) სამართლიანი სასამართლოს უფლება

(მუხლი 6) სისხლის სამართლებრივი განხილვები

(მუხლი 6-1) სამართლიანი განხილვა

(მუხლი 6-1) დაცვის უფლება

(მუხლი 41) სამართლიანი დაკმაყოფილება

მეორე სექცია

ბარანი და ჰუნი თურქეთის წინააღმდეგ

(Case of Baran and Hun v. Turkey)

(განაცხადი No. 30685/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

20 მაისი 2010

საბოლოო ვერსია

20/08/2010

გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე **Baran and Hun v. Turkey**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ
შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუა ტულკენსი, თავმჯდომარე
ირინო გაბრალ ბარეტო,
დანუტე ჟოკიენი,
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,
ნონო წოწორია,
ისილ კარაკაში,
კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები
და
სალი დოლე, სექციის რეგისტრატორი,
იმსჯელა განმარტოებით 2010 წლის 29 აპრილს,
და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე დაიწყო განაცხადით (no. 30685/05) თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს წარუდგინა თურქეთის ორმა მოქალაქემ, ქ-ნმა გიულდერენ ბარანმა და ბ-ნმა ჰაკი აზიზ ჰუნმა („განმცხადებლები“), 2011 წლის 19 ივნისს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის („კონვენციის“) 34-ე მუხლის შესაბამისად.
2. განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდა ქ-ნი გ. ტუნჩერი, პრაქტიკოსი ადვოკატი სტამბოლში. თურქეთის მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მისი აგენტი.
3. 2006 წლის 17 ნოემბერს მეორე სექციის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, ეცნობებინა მთავრობისათვის განაცხადის შეტანის შესახებ. ასევე გადაწყდა, რომ სასამართლო ერთდროულად იმსჯელებდა განაცხადის დასაშვებობასა და არსებით მხარეებზე (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

4. განმცხადებლები დაიბადნენ, შესაბამისად, 1973 და 1965 წლებში. განაცხადის შეტანის მომენტისათვის ისინი იმყოფებოდნენ, შესაბამისად, ბაირამპაშასა და ედირნის ციხეებში.

A. განმცხადებლის პატიმრობა პოლიციის დაწესებულებაში და სამედიცინო ცნობები მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით

5. 1995 წლის 21 ივლისს პოლიციის სამსახურეობრივ მანქანას ესროლეს ხელყუმბარა სტამბოლში, გაზიოსმანფაშას უბანში. პოლიციის თხუთმეტი ოფიცერი დაშავდა. უკანონო შეიარაღებულმა ორგანიზაციამ, სახელდობრ, TDP-მ (თურქეთის რევოლუციური პარტია) აიღო პასუხისმგებლობა მომხდარ ინციდენტზე. აღნიშნული ინციდენტის კვალად პოლიციამ ჩაატარა ოპერაცია TDP-ს წევრების წინააღმდეგ.

1. განმცხადებელთა პატიმრობა პოლიციის დაწესებულებაში

6. 1995 წლის 4 და 5 აგვისტოს განმცხადებლები დააკავეს და წაიყვანეს პოლიციის დაწესებულებაში ექვს საფუძველზე, რომ ისინი ჩართულნი იყვნენ TDP-ში. განმცხადებლები პოლიციაში რჩებოდნენ 1995 წლის 17 აგვისტომდე.

7. მეორე და პირველი განმცხადებელი დაკითხეს, შესაბამისად, 1995 წლის 11 და 13 აგვისტოს სტამბოლის უსაფრთხოების სამმართველოს ანტიტერორისტული განყოფილების პოლიციის ოფიცრებმა, როცა მათ დადეს დეტალური და ხელმოწერილი ანგარიში იმ საქმიანობათა შესახებ, რომლებშიც მონაწილეობდნენ TDP-ში. 1995 წლის 14 აგვისტოს მეორე განმცხადებელი დაკითხეს კიდევ ერთხელ. იმ დღეს პირველმა განმცხადებელმა მონაწილეობა მიიღო პოლიციის მანქანის დაბომბვის მოვლენათა რეკონსტრუქციაში. სხვადასხვა დროს განმცხადებლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ფოტოებით იდენტიფიკაციის პროცედურებში.
8. განაცხადის ფორმაში განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ მიმართ განხორციელდა წამება პოლიციაში პატიმრობისას. ამასთან დაკავშირებით, ისინი აღნიშნავდნენ, რომ მოათავსეს ბინძურ საკანში ვენტილაციის გარეშე, არ ჰქონდათ ძილის საშუალება, არ აძლევდნენ საკვებსა და წყალს, თვალები ახვეული ჰქონდათ, აგინებდნენ და ემუქრებოდნენ, ასმენინებდნენ ხმამაღალ მუსიკას, სცემდნენ, აშიშვლებდნენ, ასხამდნენ წყალს მაღალი წნევით, აიძულებდნენ, დამდგარიყვნენ ვენტილატორის წინ, კიდედნენ. ამას გარდა, პირველი განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ განხორციელდა სექსუალური ძალადობაც, ის გააშიშვლეს და დაკიდეს ფეხებით, ქაჩავდნენ თმასა და თითებს და ადებდნენ სიმძიმეს ტერფებზე.

2. განმცხადებელთა სამედიცინო ცნობები

a) გიულდერენ ბარანი

9. 1995 წლის 17 აგვისტოს განმცხადებელი შეამოწმა სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ექიმმა სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში, რომელმაც აღნიშნა, რომ მას სისხლი სდიოდა ცხვირიდან, ჰქონდა ტკივილი გენიტალიების არეში, ორი 1 სმ-იანი მსუბუქი ჭრილობა მარჯვენა მკლავზე და წრიული ფორმის შეშუპება მაჯაზე, ორივე მკლავში გრძნობდა სისუსტესა და უძლურებას, სტკიოდა მარჯვენა ხელის ორი თითი და აღენიშნებოდა 2x1 ზომის მსუბუქი ჭრილობა მარჯვენა მუხლზე. გარდა ამისა, ექიმმა შენიშნა სისხლდენა გინეკოლოგიური ტრავმის გამო, რომელიც მიიღო, დაახლოებით, 15 დღის წინ. თუმცა, მან დააფიქსირა, რომ განმცხადებელმა უარი თქვა გინეკოლოგიურ შემოწმებაზე.
10. 1995 წლის 18 აგვისტოს განმცხადებელი გასინჯა ციხის ექიმმა, რომელმაც აღნიშნა, *inter alia*, რომ მას ჰქონდა გავრცელებული ტკივილი

ზურგისა და წელის არეში, ამასთან, ძალა და მოძრაობის უნარი ჰქონდა დაკარგული ორივე მკლავში. გარდა ამისა, განმცხადებლის სხეულზე ექიმმა აღმოაჩინა სხვადასხვა ზომის მრავლობითი ჩალურჯება და შესიებული ადგილები, განსაკუთრებით, ილლიებში, მარჯვენა მკლავსა და მაჯაზე, მარცხენა მკლავზე, მუხლზე, ფეხებსა და ფეხისგულებზე. საბოლოოდ, მან აღნიშნა, რომ განმცხადებელს აღენიშნებოდა ტკივილი მარცხენა საკვერცხესა და შარდის ბუშტში.

11. 1995 წლის 30 ოქტომბერს განმცხადებელი გასინჯეს სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ექსპერტიზის მესამე სექციის ექიმებმა. მათ ასევე შეამოწმეს განმცხადებლის წინა სამედიცინო დასკვნები და EGM გამოკვლევის¹ შედეგები. ექიმებმა დაადგინეს, რომ განმცხადებელს სჭირდა მხრის ორმხრივი პლექსიტი (ნერვის დაზიანება).
12. რამდენიმე ანგარიშის, საკონსულტაციო ბარათების, სამედიცინო შემოწმებებისა და ანალიზების თანახმად, რაც საქმეში იდო, განმცხადებელს დიაგნოზით ჰქონდა მხრის შეუქცევადი პლექსიტი მარჯვენა მხარეს და შექცევადი პლექსიტი მარცხენა მხარეს, რასაც მკურნალობდნენ, ძირითადად, ფიზიოთერაპიით, წელიწად-ნახევარზე მეტხანს. შედეგად, მარჯვენა მკლავზე მდგომარეობა გაუმჯობესდა. თუმცა, მარჯვენა მხარე დაზიანებული დარჩა შეუქცევადად.
13. 1998 წლის 19 ოქტომბერს განმცხადებელი შეამოწმეს სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ექსპერტიზის მესამე სექციის ექიმებმა. 1998 წლის 18 დეკემბერს, სტამბოლის ასიზის სასამართლოს მოთხოვნით, ექსპერტიზის მესამე სექციამ (*Ihritas Kurulu*) წარმოადგინა თავისი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, განმცხადებლის მარცხენა მკლავმა თითქმის ნორმალური მდგომარეობა აღიდგინა, ხოლო მისი მარჯვენა მკლავი კვლავ პარალიზებული რჩებოდა და ეს იწვევდა მის მუდმივ უნარშეზღუდულობას (*uzuv saafi*).

b) ჰაკი აზიზ ჰუნნი

14. 1995 წლის 17 აგვისტოს განმცხადებელი გასინჯა სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის ექიმმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მას სტკიოდა კისერი და უჭირდა მისი

¹ EGM - ელექტრომოგრაფია არის გამოკვლევა, რომელსაც იყენებენ კუნთების ელექტრული აქტივობის ჩასაწერად

მობრუნება, მარჯვენა ხელში ჰქონდა ჩხვლეტის შეგრძნება და ტკივილი მარცხენა მკლავქვეშ.

15. 1998 წლის 2 ივლისს განმცხადებელი გასინჯა სტამბოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ექიმმა, რომლის დიაგნოზითაც მას ჰქონდა ცერვიკალური მალათმორისი დისკის თიაქარი. მას მკურნალობდნენ კისრის ბანდაჟითა და წამლებით. თუმცა, ექიმმა აღნიშნა, რომ განმცხადებელი საჭიროებს უწყვეტ დაკვირვებასა და მკურნალობას, რადგან ეს არის მუდმივი მდგომარეობა.

B. სისხლის სამართალწარმოება განმცხადებლის წინააღმდეგ

16. 1995 წლის 17 აგვისტოს განმცხადებელი წარადგინეს საზოგადოებრივი პროკურორისა და მოსამართლის წინაშე სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში, სადაც მათ, პროტესტის ნიშნად, უარი თქვეს რაიმე განცხადების გაკეთებაზე, რადგან პოლიციის დაწესებულებაში მათზე განხორციელდა წამება.

17. 1995 წლის 21 სექტემბერს საზოგადოებრივმა პროკურორმა სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში გამოიტანა საბრალდებო დასკვნა განმცხადებლისა და სხვა ექვმიტანილების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, მათ ბრალი ედებოდათ სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის დარღვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით. კერძოდ, პირველ განმცხადებელს ბრალი ედებოდა, რომ იგი მონაწილეობდა პოლიციის მანქანის დაბომბვაში 1995 წლის 21 ივლისს.

18. განუსაზღვრელ დღეს სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში დაიწყო სისხლის სამართალწარმოება. განმცხადებლებს, ორივეს, წარმოადგენდა იგივე ადვოკატი, ქ-ნი გ. ტუნჩენი 1995 წლის 19 დეკემბერს გამართულ მოსმენაზე განმცხადებელთა ადვოკატმა აღნიშნა, რომ მისი კლიენტების მიმართ განხორციელდა წამება და სთხოვა სასამართლოს, მოეთხოვა ხელისუფლების ორგანოებისაგან სისხლის სამართლებრივი გამოძიების დაწყება (*suç duyurusu*). სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლომ უარყო ეს მოთხოვნა და განაცხადა, რომ განმცხადებლებს თავად შეუძლიათ საჩივრის შეტანა საზოგადოებრივ პროკურატურაში და არ იყო აუცილებელი, ეს სასამართლოს გაეკეთებინა.

19. საქმის სასამართლო განხილვისას სასამართლომ მოუსმინა ბრალდებულებს, რამდენიმე პოლიციის ოფიცერს, რომლებმაც მიიღეს დაზიანება პოლიციის მანქანის დაბომბვის დროს და პოლიციის

ოფიცრებს, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაში განმცხადებელთა პატიმრობისას. პოლიციის ერთი-ერთი ასეთი ოფიცრის მოსმენისას, პირველმა განმცხადებელმა და მეორე თანაბრალდებულმა სთხოვეს სასამართლოს, არ მოესმინათ მისთვის, ამტკიცებდნენ რა, რომ ეს იყო ადამიანი, რომელმაც აწამა ისინი. ამას გარდა, სასამართლომ განიხილა პოლიციის მანქანის დაბომბვის მოვლენათა რეკონსტრუქციის ვიდეოჩანაწერი. 1995 წლის 19 დეკემბერს, 1997 წლის 22 მაისსა და 1999 წლის 9 ნოემბერს მეორე განმცხადებელმა სასამართლოს წარუდგინა წერილობითი ჩვენება. მხოლოდ პირველ მათგანში ჩიოდა იგი, რომ უარყოფდა პოლიციაში მიცემულ თავის ჩვენებებს, რადგან მათ ხელი მოაწერა იძულებითა და წამებით, მათი წაკითხვის შესაძლებლობის გარეშე. მომდევნო განაცხადებში განმცხადებელი პრინციპულად იმეორებდა, რომ ის არის რევოლუციონერი, მაგრამ არავითარი კავშირი არ აქვს არალეგალურ ორგანიზაციებთან. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ მის სახლში ნაპოვნი იარაღი და ბომბები ეკუთვნოდა ერთ-ერთ ბრალდებულს, რომელმაც მას სთხოვა, დაეთმო კარადა პირადი ნივთებისათვის, მოიტანა ეს ყველაფერი ჩანთით და სთხოვა მათი შენახვა. განმცხადებელმა თავდაპირველად სულ არ იცოდა მათი არსებობის შესახებ.

20. 1995 წლის 19 დეკემბერს, 1998 წლის 1 სექტემბერსა და 2000 წლის 4 თებერვალს პირველმა განმცხადებელმა სასამართლოს წარუდგინა თავისი წერილობითი განცხადება. მეორე განცხადებაში ის აკრიტიკებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს სისტემას, ხოლო დანარჩენებში დეტალურად აღწერდა წამებას, რომელსაც ის დაექვემდებარა პოლიციის დაწესებულებაში და უარყოფდა ჩართულობას ნებისმიერ არალეგალურ ორგანიზაციაში. მან განაცხადა, რომ ნივთები, აღმოჩენილი იმ სახლში, სადაც ის ცხოვრობდა მეორე განმცხადებელთან ერთად, ეკუთვნოდა არა მას, არამედ ერთ-ერთ თანაბრალდებულს და არაფერი იცოდა მათ შესახებ. ამის მსგავსად, მან მისცა განმარტებები პირადობისა და ქორწინების ყალბ მოწმობებთან დაკავშირებით.
21. 1997 წლის 22 მაისს სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლომ განმცხადებლები დამნაშავედ ცნო მათ წინააღმდეგ ბრალდებებში და მსჯავრი დასდო პირველ განმცხადებელს სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად და მეორე განმცხადებელს – სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლით.
22. 1998 წლის 27 მარტს კასაციის სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ საფუძველზე, რომ

- ბოლო მოსმენებს არ ესწრებოდა პირველი განმცხადებელი. ამდენად, მოსმენაზე დაირღვა მისი დაცვის უფლებები. ბრალდებულთა ფაქტობრივი და სამართლებრივი ურთიერთობის გათვალისწინებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ყველა პატიმრის მიმართ.
23. განუსაზღვრელ დღეს საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც შემდეგ გამართა რეგულარული მოსმენები. როგორც ჩანს, აბდულა ოჯალანის აყვანის შემდეგ განმცხადებლებმა და ზოგიერთმა ბრალდებულმა აცნობეს სასამართლოს, რომ ისინი, პროტესტის ნიშნად, უვადოდ შიმშილობდნენ. მეტიც, განმცხადებლებმა უარი თქვეს გამოცხადებულიყვნენ 1998 წლის 1 სექტემბრის შემდეგ ჩატარებულ მთელ რიგ მოსმენებზე იმ მოტივით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს აკლია დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა. 1998 წლის 27 ოქტომბერს განმცხადებელთა წარმომადგენელმა აცნობა სასამართლოს, რომ ამის შემდეგ აღარ დაესწრებოდა მოსმენებს და სთხოვა სასამართლოს, შეეწყვიტა სამართალწარმოება იმის გამო, რომ ის არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, როგორც ეს დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ.
24. ამასობაში, 2000 წლის 21 დეკემბერს გამოვიდა კანონმდებლობა პირობითი გათავისუფლების, პროცედურების გადადებისა და დასჯის შესახებ. თუმცა, ამ კანონმდებლობის სიკეთეებით ვერ ისარგებლებდნენ პირები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე და 168-ე მუხლების შესაბამისად. ამდენად, ეს კანონმდებლობა არ გამოიყენებოდა განმცხადებლების შემთხვევაში. 2001 წლის 24 იანვარს განმცხადებლებმა მოსთხოვეს სასამართლოს, რომ საქმე გადაეგზავნათ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის, რათა შეეფასებინა ამ კანონმდებლობის შესაბამისობა კონსტიტუციის შესატყვის დებულებებთან, მაგრამ უშედეგოდ.
25. 2000 წლის 2 მარტს სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლომ პირველი განმცხადებელი ცნო დამნაშავედ სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგის დარღვევაში და მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა, სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ გაითვალისწინა საქმეში არსებული მტკიცებულებები – მათ შორის, არალეგალურ ორგანიზაციასთან დაკავშირებული საბუთები, რომლებიც აღმოჩნდა განმცხადებლის სახლში – ექსპერტის ანგარიშები, იდენტიფიკაციის პროცედურების სტენოგრაფიული ჩანაწერი, მისი ფოტო, გადაღებული ინციდენტის ადგილზე, მოვლენების რეკონსტრუქციის

სტენოგრაფიული ჩანაწერი და მოვლენების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერის სტენოგრაფიული ჩანაწერი. სასამართლოს თქმით, ადგილობრივ სასამართლოებში იყო მიმდინარე სამართალწარმოებები განმცხადებელთა პრეტენზიების შესახებ, რომ ისინი აწამეს პოლიციის დაწესებულებებში. თუმცა, მან მიიჩნია, რომ არ არის აუცილებელი ამ სამართალწარმოებათა შედეგების მოცდა, რადგან გადაწყვეტილება, მსჯავრი გამოუტანოს განმცხადებელს, ეყრდნობა არა მხოლოდ მის განცხადებებს პოლიციის შესახებ, არამედ მატერიალურ მტკიცებულებებსაც.

26. იმავე დღეს სასამართლომ მეორე განმცხადებელიც მიიჩნია დამნაშავედ არალეგალური შეიარაღებული ორგანიზაციის წევრობაში – სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად – და მიუსაჯა პატიმრობა 12 წლითა და 6 თვით. ამ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის, განმცხადებლის მიცემული ჩვენებით პოლიციის დაწესებულებაში, მოვლენათა რეკონსტრუქციის სტენოგრაფიული ჩანაწერით, სხვა ეჭვმიტანილთა ჩვენებებით, მის სახლში აღმოჩენილი საბუთებით არალეგალურ ორგანიზაციასთან დაკავშირებით და სხვა მტკიცებულებებით, როგორიცაა იარაღი და ქიმიური ასაფეთქებელი მასალები. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც საქმე დაუბრუნდათ საკასაციო სასამართლოდან, ბრალდებულმა ზედმეტად გაახანგრძლივა მისი სისხლის სამართალწარმოება იმით, რომ არ ცხადდებოდა სასამართლოში, აცხადებდა შიმშილობას, ითხოვდა გადადებას და იღებდა სამედიცინო ცნობებს მოსმენაში მონაწილეობის არმიღების გასამართლებლად.
27. განმცხადებლებმა გაასაჩივრეს. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ ჩაატარა დამატებითი გამოძიება, უარი თქვა მათ მოთხოვნაზე, დაეკითხა ძირითადი მოწმეები ან ჩაეტარებინა მოვლენათა რეკონსტრუქცია, რათა გაექარწყლებინა ფაქტობრივი წინააღმდეგობები. ისინი აკრიტიკებდნენ ადგილობრივი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა ინტერპრეტირებას. გარდა ამისა, განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო მტკიცებულებებს, რომლებიც მოიპოვა უკანონოდ. ამასთან დაკავშირებით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული სასამართლო დაეყრდნო მათ ჩვენებას პოლიციაში, მიუხედავად სამედიცინო ანგარიშისა, რომელიც ადასტურებდა განმცხადებელთა წამებას. ამასთან, ისინი აცხადებდნენ, რომ სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც მოიპოვა პოლიციამ წინასწარი გამოძიებისას, მოიპოვა უკანონოდ. დაბოლოს, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სასამართლო შეცდა დანაშაულის კვალიფიცირებისას.

28. 2001 წლის 29 იანვარს საკასაციო სასამართლომ ჩაატარა მოსმენა და ძალაში დატოვა სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს გადაწყვეტილება.

C. გამოძიება, რომელიც დაიწყო ქ-ნი ბარანის სავარაუდო წამებასთან დაკავშირებით და შემდგომი სისხლის სამართალწარმოებები ბრალდებული პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ

29. პირველი განმცხადებლის საჩივრის საფუძველზე, მისი სამართლებრივი წარმომადგენლის ქ-ნ გ. ტუნჩერის მეშვეობით, გამოძიება დაიწყო ფატიხის საჯარო პროკურორმა.

30. 1996 წლის 29 იანვრიდან 6 მარტამდე ფატიხის საჯარო პროკურორმა მოუსმინა პოლიციის ხუთი ოფიცრის ჩვენებას, რომლებიც მონაწილეობდნენ განმცხადებლის დაკავებასა და დაკითხვაში. ყველა მათგანმა უარყო განმცხადებლის პრეტენზია წამებასთან დაკავშირებით.

31. 1996 წლის 28 მარტს ფატიხის საჯარო პროკურორმა მოუსმინა განმცხადებლის ჩვენებას. მან დეტალურად აღწერა სავარაუდო წამება, რომელიც მოიცავდა ცემას, სიცივეში დატოვებას სველი ტანსაცმლით, სექსუალურ მიძალებას და დროდადრო ფეხებით ჩამოკიდებას.

32. 1996 წლის 18 ივნისს ფატიხის საჯარო პროკურორმა თავისი მოსაზრება გაუგზავნა სტამბოლის საჯარო პროკურორს. ის ითვალისწინებდა სისხლის სამართალწარმოებას წამებისათვის – პოლიციის ხუთი ოფიცრის წინააღმდეგ, რომლებიც მუშაობდნენ სტამბოლის უსაფრთხოების სამმართველოს ანტიტერორისტულ განყოფილებაში.

33. 1996 წლის 26 ივნისს სტამბოლის საჯარო პროკურორმა გამოიტანა საბრალდებო დასკვნა პოლიციის ხუთი ოფიცრის წინააღმდეგ – ქ-ნ ბარანისადმი არასათანადო მოპყრობისათვის. ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 243-ე მუხლის საფუძველზე.

34. 1996 წლის 15 ოქტომბერს სტამბოლის ასიზის სასამართლოში დაიწყო სისხლის სამართალწარმოება პოლიციის ბრალდებული ოფიცრების მიმართ.

35. 1997 წლის 8 მაისსა და 11 ოქტომბერს გამართულ მოსმენებზე სასამართლომ მოუსმინა განმცხადებლის ჩვენებას, რომელმაც აღწერა არასათანადო მოპყრობის დეტალები და პოლიციის ბრალდებულ ოფიცრებში ამოიკნო პასუხისმგებლები, გარდა ერთისა, რომელშიც არ იყო დარწმუნებული. 11 ოქტომბერს სასამართლომ მოუსმინა აგრეთვე მეორე თვისუფლებააღკვეთილი პირისა და განმცხადებლის მოწმის ბ-ნ K.Y-ს ჩვენებას.

36. 1998 წლის 6 მაისს სასამართლომ მოუსმინა კიდევ ერთი თვისუფლებააღკვეთილი პირისა და განმცხადებლის მოწმის ქ-ნ A.E-ს ჩვენებას.

37. 2002 წლის 12 მარტს სტამბოლის ასიზის სასამართლომ შეწყვიტა სამართალწარმოება ბრალდებული პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ დანაშაულის გამოძიებას, მოვლენების განვითარებიდან 5 წლის შემდეგ, გაუვიდა ხანდაზმულობის ვადა ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საკასაციო სასამართლომ 2004 წლის 19 თებერვალს.

D. შემდგომი მოვლენები

38. 2003 წლის 17 ივნისს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტის 2003 წლის 21 აპრილის ანგარიშზე დაყრდნობით, ქ-ნ ბარანს შეუმსუბუქა სასჯელი ქრონიკული დაავადების საფუძველზე, კონსტიტუციის 104-ე მუხლის ბ პუნქტის თანახმად. განმცხადებელი გაათავისუფლეს ციხიდან 2003 წლის 24 ივლისს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

39. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და არსებული პრაქტიკა მოცემულ მომენტში, ასევე ბოლო დროს განვითარებული მოვლენები შეიძლება მოიძებნოს შემდეგ გადაწყვეტილებებში: *Kolu v. Turkey* (no. 35811/97, § 44, 2 აგვისტო 2005), *Salduz v. Turkey* ([GC], no. 36391/02, §§ 27-31, 27 ნოემბერი 2008), *Bati and Others v. Turkey* (nos. 33097/96 და 57834/00, ECHR 2004-IV), და *Zeynep Özcan v. Turkey* (no. 45906/99, 20 თებერვალი 2007).

სამართალი

I. კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევა

40. კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა პოლიციის დაწესებულებაში პატიმრობისას, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ეფექტიანად ვერ გამოიძიეს მათი განაცხადები.

41. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივრები უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მე-3 მუხლის პოზიციებიდან:

„არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, ან არასათანადო, ან ღირსებისშემლახველ მოპყრობას, ან დასჯას“.

A. დასაშვებობა

1. გიულდერენ ბარანი

42. მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, უკუეგდო განმცხადებლის საჩივრები, რამდენადაც იყო დაუშვებელი იმის გამო, რომ არ შეესაბამებოდა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნას, სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის შესახებ. ისინი არ ეთანხმებიან, რომ განმცხადებელმა შეიძლება მოითხოვოს კომპენსაცია იმ ზიანისათვის, რაც მან სავარაუდოდ მიიღო სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის აღძვრის გამო. გარდა ამისა, მთავრობა ამტკიცებს, რომ მას უნდა წარედგინა თავისი განცხადება ინციდენტიდან 6 თვის განმავლობაში.
43. სასამართლო იმეორებს, რომ მან უკვე განიხილა და უარი თქვა მთავრობის მსგავს არგუმენტზე სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის შესახებ მანამდელ საქმეებში (მაგალითისათვის, იხილეთ: *Nevruz Koç v. Turkey*, no. 18207/03, § 31, 12 ივნისი 2007). მოცემულ განაცხადში სასამართლო ვერ ხედავს განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც მოითხოვდა ამ დასკვნისაგან გადახვევას. გარდა ამისა, სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დაწესებული ექვსთვიანი დროის შუალედი მოითხოვს, რომ განმცხადებელმა წარადგინოს თავისი განაცხადი შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამოწურვის პროცესში, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან 6 თვის განმავლობაში და შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ბოლო ეტაპი შეიძლება განხორციელდეს განაცხადის შეტანიდან მოკლე ხანში, მაგრამ მანამდე, სანამ სასამართლო შეიკრიბება დასაშვებობის საკითხის გამოსაცხადებლად (მაგალითისათვის იხილეთ: *Sağat, Bayram and Berk v. Turkey* (dec.), no. 8036/02, 8 მარტი 2007, და *Yıldırım v. Turkey* (dec.), no. 40074/98, 30 მარტი 2006). ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ სამართალწარმოება განმცხადებლის პრეტენზიების შესახებ დასრულდა 2004 წლის 19 თებერვალს. ეს მოხდა მანამ, სანამ სასამართლო გამოაცხადებდა გადაწყვეტილებას დასაშვებობაზე. ამდენად, პირველი განმცხადებლის მიერ განაცხადის შემოტანის თარიღი – 2001 წლის 19 ივნისი – შეესაბამებოდა კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ექვსთვიან შუალედს. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას.
44. გარდა ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ამასთან, აღნიშნავს, რომ იგი არ არის დაუშვებელი ნებისმიერ სხვა საფუძველზე. ამდენად, ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

2. ჰაკი აზიზ ჰუნი

45. სასამართლო იმეორებს, რომ თუ საშუალებები აღარაა ხელმისაწვდომი ან ისინი ითვლება არაეფექტიანად, ექსტრემიზმი შუალედი, არსებითად, იწყება საჩივრის შეტანის თარიღიდან (იხ.: *Hazar and Others v. Turkey* (dec.), no. 62566/00, 10 იანვარი 2002). თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება განსაკუთრებული მიდგომა, როცა განმცხადებელი ენდობა ან ეყრდნობა აშკარად არსებულ საშუალებებს და მხოლოდ შემდეგ ეცნობა იმ გარემოებებს, რომელთა გამოც ეს საშუალებები ითვლება არაეფექტიანად; ამგვარ საქმეებში ექსტრემიზმი ვადის დაწყების თარიღად, მიზანშეწონილი იქნება, ავიღოთ დღე, როცა მან პირველად გაიგო ან უნდა გაეგო ამ გარემოებათა შესახებ (see *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom* (dec.), no. 46477/99, 7 ივნისი 2001).
46. სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ 1995 წლის 19 დეკემბრის მოსმენაზე განმცხადებელმა თავისი პრეტენზიები წარუდგინა სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს და სთხოვა, რომ ხელისუფლების ორგანოებისაგან სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება მოეთხოვა (*suç duyurusu*). სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლომ უკუაგდო ეს მოთხოვნა, განაცხადა რა, რომ ბრალდებულს თავად შეუძლია შეიტანოს საჩივარი საჯარო პროკურატურაში და არ იყო არავითარი საჭიროება, ეს გაეკეთებინა სასამართლოს (იხ. ზემოთ პუნქტი 18). გარდა ამისა, 2000 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს არ მოუხსენიებია განმცხადებლის პრეტენზიები არასათანადო მოპყრობის შესახებ. აგრეთვე აღინიშნა, რომ თავის სააპელაციო პეტიციაში განმცხადებელმა ერთმნიშვნელოვნად ექვეყნა დააყენა ეროვნული სასამართლოების მხრიდან მისი პოლიციაში აღებული განცხადების გამოყენება, რომელიც მიღებულია წამებით და არ გაიმეორა ან დეტალურად არ აღწერა მისი სავარაუდო წამება იმ მიზნით, რომ მოეთხოვა ხელისუფლები ორგანოებისათვის სისხლის სამართლის გამოძიების დაწყება. მოცემული საქმის განსაკუთრებულ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოს მარცხი, ემოქმედა, განმცხადებლისათვის თანდათანობით აშკარა უნდა გამხდარიყო 2000 წლის 2 მარტისათვის, იმ დღეს, როცა სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლომ გამოაცხადა მისი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ამდენად, განმცხადებელს ამ თარიღისთვის უნდა სცოდნოდა, რომ შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები არ არის ეფექტიანი. შესაბამისად, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ექსტრემიზმი ვადის დაწყების თარიღად უნდა ჩაითვალოს არაუგვიანეს 2000 წლის 2

მარტისა (იხ.: *Kanat v. Turkey* (dec.), no. 16622/02, 8 ნოემბერი 2007). თუმცა, განაცხადი სასამართლოში შეიტანეს 2001 წლის 19 ივნისს. აქედან გამომდინარე, განაცხადის ეს ნაწილი დაგვიანებულია და უკუგდებული უნდა იყოს კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების თანახმად.

B. პირველი განმცხადებლის საჩივრის არსებითი მხარე

47. მთავრობას, ძირითადად, მოჰყავს სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მაგალითები არასათანადო მოპყრობის შესახებ და ამტკიცებს, რომ მოცემულ საქმეში ჩატარდა დეტალური და სრული გამოძიება.
48. პირველი განმცხადებელი იცავდა თავის განცხადებას.
49. სასამართლო იმეორებდა, რომ თუ პირი დაკავებისას ჯანმრთელია, ხოლო გათავისუფლების მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ მიაღდა ზიანი, სახელმწიფო ვალდებულია დამაჯერებლად განმარტოს, რამ გამოიწვია ეს დაზიანებები და წარმოადგინოს მტკიცებულებანი, რომლებიც გააქარწყლებს ეჭვს, გამოწვეულს მსხვერპლის განცხადებით, მით უფრო, თუ ეს განცხადება დადასტურებულია სამედიცინო ჩანაწერებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აშკარად დადგება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის საკითხი (იხ. *Yananer v. Turkey*, no. 6291/05, § 34, 16 ივლისი, 2009, და იქ მოყვანილი მინიშნებები).
50. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ ზოგადად გამოიყენა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებულების სტანდარტი (იხ. *Avşar v. Turkey*, no. 25657/94, § 282, ECHR 2001). ამგვარი მტკიცებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს მყარი, ცხადი და შეთანხმებული დასკვნების თანაარსებობიდან ან მსგავსი ფაქტების დასაბუთებული პრეზუმფციიდან (იხ. *Ireland v. the United Kingdom*, § 161 18 იანვარი, 1978, Series A no. 25). როდესაც ინფორმაციას განსახილველ საკითხზე, მთლიანად ან უმეტესწილად, ექსკლუზიურად ფლობს მთავრობა, როგორც ეს მოხდა მის კონტროლქვეშ მყოფ პატიმართა შემთხვევაში, ჩნდება ფაქტების მტკიცე პრეზუმფცია პატიმრობისას გამოვლენილი დაზიანებების მიმართ. რასაკვირველია, მტკიცებულების ტვირთი რჩება მთავრობის მხარეს, რომ მან დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება მისცეს ამ ფაქტებს (იხ. *Salman v. Turkey* [GC], no. 21986/93, § 100, ECHR 2000-VII).
51. წინამდებარე საქმეში სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელი დაკავებული იყო პოლიციის დაწესებულებაში, სულ ცოტა, 13 დღით. იგი აღნიშნავს, რომ არასათანადო მოპყრობა, რომელსაც ასაჩივრებდა განმცხადებელი, ძირითადად მოიცავდა ცემას, გაშიშვლებას, წყლის შესხმას მაღალი წნევით და დაყენებას ჩართული ვენტილატორის წინ,

- სექსუალურ მიძალვას, თმისა და ფრჩხილების დაგლეჯას, ჩამოკიდებას და ფეხებზე სიმძიმეების დაკიდებას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოვლენათა განვითარების განმცხადებლისეული ვერსია, გარდა თითო-ორი დეტალისა, იყო თანმიმდევრული, როგორც სასამართლოს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წინაშე.
52. რაც შეეხება სამედიცინო ხასიათის მტკიცებულებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლისათვის არ ჩაუტარებიათ სამედიცინო შემოწმება მისი დაკავებისთანავე. გარდა ამისა, იგი შენიშნავს, რომ პოლიციაში პატიმრობის დასასრულს და წინასწარი პატიმრობის შემდეგ შედგენილი სამედიცინო ჩანაწერებით აღმოჩენილია მრავალი დაზიანება, კერძოდ, განმცხადებლის მკლავებზე (იხ. ზემოთ მე-9 და მე-10 პუნქტები). შემდგომმა სამედიცინო შემოწმებებმა დაადგინა, რომ განმცხადებელი დაავადებულია მხრის ორმხრივი პლექსიტით (ნერვის დაზიანება) და სასამართლო აღნიშნავს, რომ მარჯვენა მკლავის დაზიანება განუკურნებელია (იხ. ზემოთ პუნქტები 11, 12 და 13). ეს მონაცემები, სასამართლოს აზრით, შეესაბამება და ადასტურებს განმცხადებლის პრეტენზიებს, რომ ის ჰყავდათ ჩამოკიდებული.
53. სასამართლო შენიშნავს, რომ მთავრობამ არ განმარტა, რა გზით მიიღო განმცხადებელმა ეს დაზიანებები. წინამდებარე საქმის გარემოებათა მთლიანობაში გათვალისწინებით და მთავრობის მხრიდან დამაჯერებელი განმარტების არარსებობის გამო სასამართლო ასკვნის, რომ ეს იყო იმგვარი მოპყრობის შედეგი, რომლისთვისაც მთავრობას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.
54. რაც შეეხება განსახილველი მოპყრობის სერიოზულობას, სასამართლო იმეორებს, რომ ამ სფეროში არსებული პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (იხ. სხვა გადაწყვეტილებებთან ერთად (*Selmouni v. France* [GC], no. 5803/94, §§ 96-97, ECHR 1999-V), იმის განსაზღვრისათვის, არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფორმა კვალიფიცირდება თუ არა წამებად, გასათვალისწინებელია მე-3 მუხლში ჩადებული განსხვავება ამგვარ განზრახვასა და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას შორის. როგორც ჩანს, იყო მიზანი, რომ კონვენციას, ამ განსხვავების მიხედვით, მიენიჭებინა საგანგებო სტიგმა წინასწარ განზრახული არაადამიანური მოპყრობისათვის, რომელსაც მოჰყვება სერიოზული და სასტიკი დაზიანებები.
55. არასათანადო მოპყრობის ბუნებასა და ხარისხთან დაკავშირებით, ასევე მკაცრი დასკვნის შესახებ, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ მტკიცებულებებიდან, რომ ეს განხორციელდა განმცხადებლისაგან ინფორმაციის მიღების მიზნით – არალეგალურ შეიარაღებულ ორგანიზაციასთან მის კავშირზე – სასამართლო ასკვნის: არასათანადო მოპყრობამ გამოიწვია სერიოზული და სასტიკი დაზიანება, რაც

- შეიძლება შეფასდეს, როგორც წამება (იხ. *Koçak v. Turkey*, no. 32581/96, § 48, 3 მაისი, 2007 და საქმეები, რომლებიც მასშია მოხსენიებული).
56. აქედან გამომდინარე, არსებითად დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.
57. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი ასევე მოითხოვს ხელისუფლების ორგანოებისაგან, გამოიძიოს პრეტენზიები არასათანადო მოპყრობის შესახებ, როცა ის არის „სადავო“ და „წარმოშობს გონივრულ ეჭვს“ (კერძოდ, იხ. *Ay v. Turkey*, no. 30951/96, §§ 59-60, 22 მარტი 2005). სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განსაზღვრული ეფექტიანობის მინიმალური სტანდარტი გულისხმობს, რომ გამოძიება იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და საჯარო, აგრეთვე, კომპეტენტური ორგანოები მოქმედებდნენ სამაგალითო მონდომებითა და სისწრაფით (მაგალითისათვის, იხ. *Çelik and İmret v. Turkey*, no. 44093/98, § 55, 26 ოქტომბერი, 2004). გარდა ამისა, როცა ოფიციალური გამოძიება მიდის სამართალწარმოებამდე ეროვნულ სასამართლოებში, სამართალწარმოება მთლიანად, საქმის სასამართლო განხილვის ჩათვლით, უნდა აკმაყოფილებდეს არასათანადო მოპყრობის აკრძალვის მოთხოვნებს. რამდენადაც არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, ყველა სამართლებრივ დევნას შედეგად მოჰყვეს მსჯავრდება ან კონკრეტული განაჩენი, ეროვნული სასამართლოები უნდა იყვნენ მზად, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან, რომ მძიმე თავდასხმა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობაზე დატოვონ დაუსჯელი (იხ. *Okkali v. Turkey*, no. 52067/99, § 65, ECHR 2006-XII (ამონარიდები)).
58. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ თუ სახელმწიფო მოხელეს ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს, სისხლის სამართალწარმოება და განაჩენის გამოტანა არ უნდა დაგვიანდეს და ამ დროს დაუშვებელია ამნისტია ან პატიება (იხ. *Erdogan Yilmaz and Others v. Turkey*, no. 19374/03, § 56, 14 ოქტომბერი, 2008). გარდა ამისა, სასამართლო იმეორებს: თუ სახელმწიფო მოხელე ბრალდებულია წამების ან არასათანადო მოპყრობის დანაშაულში, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის პროცესში მას შეუჩერდეს უფლებამოსილება და გათავისუფლდეს, თუ მსჯავრი დაედება (იხ. *Abdulsamet Yaman v. Turkey*, no. 32446/96, § 55, 2 ნოემბერი, 2004).
59. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი – კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით – იმ დაზიანებებზე, რაც განმცხადებელს მიაღება. ამდენად, საჭირო იყო ეფექტიანი გამოძიება.
60. წინამდებარე საქმეში სასამართლო შენიშნავს, რომ საქმე პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ შეწყდა 2002 წლის 12 მარტს, რადგან ამოიწურა

დადგენილი დროის ფარგლები. ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 2004 წლის 19 თებერვალს. გარდა ამისა, საქმის მასალებში არ არის არანაირი მინიშნება იმის საჩვენებლად, რომ პოლიციის ბრალდებულ ოფიცრებს ამ პერიოდში შეუწყვიტეს უფლება-მოვალეობანი. ამ კონტექსტში სასამართლო იმეორებს იმას, რაც ადრეც დაადგინა ბევრ საქმეში: თურქეთის სისხლის სამართლის სისტემა, როგორც არის, შორსაა სიზუსტისაგან და არ აქვს დამარწმუნებელი ძალა იმისათვის, რომ უზრუნველყოს სახელმწიფოს მოხელეთა მხრიდან ჩადენილ არაკანონიერ ქმედებათა ეფექტიანი პრევენცია, თუკი სისხლის სამართალწარმოებას ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ ვადა გასდის (იხ. სხვა გადაწყვეტილებათა შორის *Yeşil and Sevim v. Turkey*, no. 34738/04, § 42, 5 ივნისი, 2007 და *Hüseyin Esen v. Turkey*, no. 49048/99, § 63, 8 აგვისტო, 2006). სასამართლო ვერ ხედავს ვერანაირ მიზეზს, რის გამოც სხვა დასკვნას გამოიტანდა წინამდებარე საქმეში.

61. ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შუქზე სასამართლო ასკვნის, რომ სისხლის სამართალწარმოება პოლიციის ოფიცრების წინააღმდეგ იყო არაადეკვატური და, ამდენად, არღვევს სახელმწიფოს პროცედურულ მოვალეობებს კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.

62. აქედან გამომდინარე, დაირღვა მე-3 მუხლის პროცედურული მხარე.

II. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

63. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ მსჯავრი დასდეს წამებისა და არასათანადო მოპყრობის შედეგად მიღებული განცხადებების საფუძველზე, პოლიციის დაწესებულებაში ადვოკატის დახმარების გარეშე პატიმრობისას. გარდა ამისა, ისინი ჩიოდნენ, რომ მათ საქმეზე არ გამართულა სამართლიანი მოსმენა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მხრიდან იმ მიზეზით, რომ განხილვას ესწრებოდა სამხედრო მოსამართლე სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში და მთავარი საზოგადოებრივი პროკურორის წერილობითი თვალსაზრისი საკასაციო სასამართლოში არ აცნობეს მათ. ისინი ეყრდნობიან კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტებს, რამდენადაც იკითხება შესაბამისად:

„1. ... ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...“

3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ... აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: ...

(c) დაიცვას თავი პირადად და ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით...“

A. სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს მხრიდან, სავარაუდოდ, წამებითა და არასათანადო მოპყრობით, დამცველის დახმარების გარეშე მოპოვებული განცხადებების გამოყენება

1. დასაშვებობა

64. სასამართლო მიიჩნევს, რომ განცხადების ეს ნაწილი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. გარდა ამისა, იგი აღნიშნავს, რომ განაცხადი არ შეიძლება დაუშვებლად გამოცხადდეს რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს არსებით განხილვაზე დაშვებულად.

2. საქმის არსებითი მხარე

65. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მისი მოვალეობაა, უზრუნველყოს კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოთაგან აღებული ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, მისი მოვალეობა არ არის, გამოასწოროს ეროვნული სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომები, დაკავშირებული ფაქტებსა ან კანონმდებლობასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათ შესაძლოა მოჰყვეს კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, იგი არ ადგენს არანაირ წესს მტკიცებულებათა დასაშვებობაზე, რაც, უპირველესად, ეროვნულ კანონმდებლობათა რეგულირების საგანია (იხ. *Schenk v. Switzerland*, 12 ივლისი, 1988, §§ 45-46, Series A no. 140).

66. ამდენად, როგორც წესი, სასამართლო ვალდებულება არ არის, განსაზღვროს, დასაშვებია თუ არა კონკრეტული ტიპის მტკიცებულებები – მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის თვალსაზრისით, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები – ან სინამდვილეში დამნაშავეა თუ არა განმცხადებელი. შევითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგია: სამართალწარმოება მთლიანად, მტკიცებულებათა მოპოვების გზის ჩათვლით, იყო თუ არა სამართლიანი. ეს მოიცავს მსჯელობას განსახილველ „უკანონოებაზე“ და კონვენციით გარანტირებული სხვა უფლების დარღვევის შემთხვევაში, დადგენილი დარღვევის ბუნებაზე (იხ. სხვა გადაწყვეტილებათა შორის, *Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, § 95, 11 ივლისი 2006).

67. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებამ სისხლის

სამართალწარმოებისას, შესაძლოა, შეზღუდოს ამ სამართალწარმოების სამართლიანობა, თუნდაც ამგვარი მტკიცებულების გამოყენება არ იყოს გადამწყვეტი მსჯავრდებისას (ibid., § 99, და *Söylemez v. Turkey*, no. 46661/99, § 23, 21 სექტემბერი, 2006). გარდა ამისა, დაადგინა: მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივრის არარსებობა არ ნიშნავს, რომ სასამართლომ არ უნდა გაითვალისწინოს განმცხადებლის პრეტენზიები არასათანადო მოპყრობაზე, მე-6 მუხლის გარანტიებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით (იხ. *Örs and Others v. Turkey*, no. 46213/99, § 60, 20 ივნისი, 2006, და *Kolu*, ციტირებულია ზემოთ, § 54).

68. გარდა ამისა, სასამართლო იმეორებს, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემისა და დუმილის უფლება არის ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლიან პროცედურებს. მათი მიზანია, დაიცვას ბრალდებული შესაბამის ორგანოთა მხრიდან არასათანადო იძულებისაგან და, ამგვარად, თავიდან აიცილოს უსამართლობა და უზრუნველყოს მე-6 მუხლის მიზნების დაცვა (იხ. *John Murray v. the United Kingdom*, 8 თებერვალი, 1996, § 45, *Reports of Judgments and Decisions* 1996-I). ეს უფლება გულისხმობს საქმეში სისხლის სამართლებრივი დევნით ბრალდებულის წინააღმდეგ ბრალის დამტკიცებას ისე, რომ მისგან მტკიცებულებას არ მოიპოვებენ იძულებით ან ზეწოლის მეტოდების გამოყენებით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ (იხ. ზემოხსენებული საქმეები *Jalloh*, § 100, და *Kolu*, § 51). ადვოკატის ხელმისაწვდომობა ადრეულ ეტაპზე პროცედურული გარანტიების ნაწილია, რომელსაც სასამართლო განსაკუთრებულად შეაფასებს იმის შემოწმებისას, ხომ არ შეილახა საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლების არსი (იხ. *Salduzის ზემოხსენებული საქმე*, § 54).

69. რაც შეეხება პირველ განმცხადებელს, სასამართლო აღნიშნავს: მან უკვე დაადგინა, რომ იგი დაექვემდებარა წამებას – კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით – პოლიციის დაწესებულებაში პატიმრობისას (იხ. ზემოთ, პუნქტი 56). გარდა ამისა, მხარეებს შორის საკამათო არ ყოფილა, რომ განმცხადებელს არ მიუღია არანაირი იურიდიული დახმარება ამ პერიოდში და ის აკეთებდა განცხადებებს, მათ შორის, მოვლენათა რეკონსტრუქციისა და ამოცნობის პროცედურებისას მისი ადვოკატის დასწრების გარეშე. სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლო მისი მსჯავრდებისას დაეყრდნო ამ ელემენტებს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს: დამადანაშაულებელი მტკიცებულება – იქნება ეს აღიარების ფორმით თუ მატერიალური – მოპოვებული ძალადობით ან სისასტიკით, ან მოპყრობის სხვა ისეთი ფორმებით, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს წამება, არასოდეს შეიძლება გამოიყენონ მსხვერპლის დასადანაშაულებლად, მიუხედავად მისი დამამტკიცებელი ღირებულებისა. ნებისმიერი სხვა დასკვნა მხოლოდ

და მხოლოდ ხელს შეუწყობს არაპირდაპირ ლეგიტიმაციას გარკვეულწილად მორალურად გაუმართლებელი ქცევისა, რომლის კანონგარეშე დაყენებასაც ესწრაფვოდნენ კონვენციის მე-3 მუხლის ავტორები ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სისასტიკეს შემოსავს სამართლის მანტიით“ (იხ. *Harutyunyan v. Armenia*, no. 36549/03, § 63, ECHR 2007-VIII).

70. რაც შეეხება მეორე განმცხადებელს, სასამართლო შენიშნავს, რომ ის პოლიციას დაკავებული ჰყავდა ყოველგვარი კომუნიკაციის შეზღუდვით (*incommunicado*), 12 დღის განმავლობაში, რა პერიოდშიც, როგორც ჩანს, მას არ ჰქონდა არანაირი კავშირი თავისი ოჯახის წევრებთან, ადვოკატსა ან ექიმთან. მისი პოლიციაში პატიმრობის დასასრულს შედგენილი სამედიცინო ჩანაწერები, სასამართლოს აზრით, აღძრავს სერიოზულ ეჭვებს დაკითხვისას პოლიციის ოფიცრების დამოკიდებულების მიმართ. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს: მართალია, განმცხადებელმა უარყო მისი ჩვენების შინაარსის სიზუსტე, რომელიც მისცა ადვოკატის დასწრების გარეშე, ასევე, დაიმოწმა რა საქმის მასალებში ჩადებული ექიმის ჩანაწერები, განაცხადა პრეტენზია, რომ პოლიციის დაწესებულებაში პატიმრობისას მას არასათანადოდ მოეპყრნენ და ძალით მიაცემინეს ჩვენება, სტამბოლის სასამართლო მაინც დაეყრდნო ამ მტკიცებულებებს მისი მსჯავრდებისას, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, არ ითვალისწინებს დაკითხვისას მიღებული აღიარების შედეგებს, თუ ის მოგვიანებით სასამართლოში გადათქვებს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაცვის შანსებისათვის (იხ. ზემოთ პუნქტი 39).
71. გარდა ამისა, სასამართლომ შენიშნა, რომ შეზღუდვები, დაწესებული განმცხადებლისთვის ადვოკატის ხელმისაწვდომობაზე, ამ ეტაპზე იყო სისტემატური და შეეხებოდა ყველას, ვინც დაკავებული იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოების იურისდიქციაში მოქცეული დანაშაულისათვის (იხ. *Salduz-ის ზემოხსენებული საქმე*, §56). *Salduz-ის* სასამართლო გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ ეს, თავისთავად, არ შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს (*ibid*).
72. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს: საქმის სასამართლო განხილვა გახდა მთლიანად უსამართლო, რადგან გამოიყენეს ჩვენებები, რომლებიც პირველი განმცხადებლის შემთხვევაში მოპოვებულია წინასწარი გამოძიებისას, ადვოკატის დაუსწრებლად, წამებით, ხოლო მეორე განმცხადებლის შემთხვევაში – სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობით.
73. აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (c) პუნქტი, მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან კავშირში.

B. სამართალწარმოების სამართლიანობის სხვა სავარაუდო დარღვევები

74. მთავრობამ სთხოვა სასამართლოს, არ დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის საჩივარი სახელმწიფოს უსაფრთხოების სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ, რადგან იგი არ აკმაყოფილებდა ექვსი თვის წესს (კონვენციის 35-ე მუხლი 35, 1-ლი პუნქტი). ამასთან დაკავშირებით, მთავრობა დავობდა იმაზე, რომ განმცხადებელმა განაცხადი არ შეიტანა 6 თვის განმავლობაში – იმ თარიღიდან, რომელსაც ადგენს კონსტიტუციის 143-ე მუხლი...
75. სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის პრეტენზიას, რომ ის იმდენად ახლოს არის დაკავშირებული განმცხადებლის საჩივრის არსთან, მისი გამოცალკევება შეუძლებელია. ამდენად, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ წინამდებარე საქმის არსებითი მხარეების დაუსაბუთებელი განსჯა, ეს საკითხები უნდა განიხილებოდეს ერთად. რამდენადაც განმცხადებლის საჩივარი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველზე, ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.
76. თუმცა, ითვალისწინებს რა საქმის ფაქტებს, მხარეთა არგუმენტაციას და მის მსჯელობას ზემოთ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (c) პუნქტების დარღვევასთან დაკავშირებით (პუნქტი 73), სასამართლო მიიჩნევს, რომ მან განიხილა კონვენციის მე-6 მუხლით აღძრული ძირითადი სამართლებრივი საკითხი. აქედან გამომდინარე, ის ასკვნის, რომ არ არის აუცილებელი განმცხადებლის დანარჩენი საჩივრების ცალკე განხილვა ამ დებულების საფუძველზე (მაგალითისთვის იხ. *Juhnke v. Turkey*, no. 52515/99, § 94, 13 მაისი, 2008, და *Getiren v. Turkey*, no. 10301/03, § 132, 22 ივლისი, 2008 და აქ მოხსენებული საქმეები).

III. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

77. საგანაცხადო ფორმაში განმცხადებლებმა აღძრეს რამდენიმე საჩივარი კონვენციის მე-5, მე-6 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებით. კერძოდ, ისინი ჩიოდნენ, რომ მათი დაკავება, დაპატიმრება პოლიციის დაწესებულებაში და წინასწარი პატიმრობა შესრულდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიების სრული უარყოფით. კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე, ისინი ასევე აპროტესტებდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას იმ წესის გამო, რომლითაც ასახელებდნენ საქალაქო მოსამართლეებს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლო იყო ტენდენციური, იგონებდა ფაქტებს, უარი თქვა მათ მოთხოვნაზე, ჩაეტარებინა დამატებითი გამოძიება და მოწმეთა დაპირისპირება, და ექცეოდა

პოლიციის სასამართლომდელი ანგარიშების გავლენის ქვეშ, რომლებიც მომზადებული იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით. ამასთან დაკავშირებით, განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი დაკავების შემდეგ ისინი ჟურნალისტებს წარუდგინეს, როგორც კრიმინალები. გარდა ამისა, ისინი ჩიოდნენ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე და იმაზე, რომ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული. საბოლოოდ, განმცხადებლები გამოთქვამდნენ პრეტენზიას კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე, მე-3, მე-5, მე-6 და მე-13 მუხლებთან კავშირში, რომ მათ მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამასთან დაკავშირებით, მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოში გასამართლებულთა მიმართ პროცედურულად სხვა წესები გამოიყენება, ვიდრე ჩვეულებრივი კრიმინალებისადმი.

78. თუმცა, სასამართლო მის ხელთ არსებული მთელი მასალის საფუძველზე ადგენს, რომ განმცხადებელთა ზემოთ მოყვანილი არგუმენტაცია არ ამჟღავნებს კონვენციის ან მის ოქმებში მოცემულ უფლებათა და თავისუფლებათა არანაირ დარღვევას. აქედან გამომდინარე, განცხადების ეს ნაწილი უნდა გამოცხადდეს დაუშვებლად, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი – კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

79. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„ თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

A. ზარალი, ხარჯები და დანახარჯები

80. განმცხადებელმა მოითხოვა მატერიალური ზარალის, ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურება, რისი რაოდენობის განსაზღვრაც სასამართლოს მიანდო. ორივე განმცხადებელი მკაცრად აკრიტიკებდა სასამართლოს იმის გამო, რომ ითხოვდნენ ქვითრებსა და ხარჯებისა და დანახარჯების დამადასტურებელ საბუთებს, ასევე იმ თანხის დასაბუთებას, რაც თურქ ადვოკატებს გადაუხადეს.

81. დამატებით, არამატერიალური ზიანისათვის, ბ-ნმა ბარანმა მოითხოვა 60,000 ევრო, ბ-ნმა ჰუნმა კი – 35,000 ევრო.
82. მთავრობამ გააპროტესტა ეს თანხები.
83. სასამართლო შენიშნავს, რომ განმცხადებელს არ განუსაზღვრავს კონკრეტული თანხა, არც წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ან საბუთი მისი მატერიალური ზიანის დასასაბუთებლად. არ წარმოუდგენიათ არც მათი ხარჯებისა და დანახარჯების დოკუმენტური დასაბუთება, როგორც ამას მოითხოვს სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლი. შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება ამ თავების მიხედვით.
84. წინამდებარე საქმეში აღმოჩენილი დარღვევების გათვალისწინებით და თანასწორობის საფუძველზე, სასამართლო ქ-ნ ბარანს აკუთვნებს მოთხოვნილ თანხას მთლიანად, ხოლო ბ-ნ ჰუნს – 4800 ევროს არამატერიალური ზიანისათვის.
85. გარდა ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოსწორების ყველაზე შესაფერისი ფორმა იქნება განმცხადებლების საქმის ხელახალი სასამართლო განხილვა – კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად (იხ. *Salduz*, ციტირებულია ზემოთ, §72).

B. საურავი

86. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. *აცხადებს*, რომ პირველი განმცხადებლის საჩივრები არასათანადო მოპყრობასა და ეფექტიანი საშუალებების ნაკლებობაზე, განმცხადებლების საჩივრები სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს მიერ ადვოკატის დაუსწრებლად და სავარაუდო წამებით მოპოვებული ჩვენებების გამოყენებასთან დაკავშირებით, სამხედრო მოსამართლის დასწრების გამო სტამბოლის სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობაზე და საკასაციო სასამართლოში საზოგადოებრივი პროკურორის წერილობითი არგუმენტაციის გაუთვალისწინებლობის შესახებ – დასაშვებად;
2. *აცხადებს* განცხადების დანარჩენ ნაწილს არსებით განხილვაზე დაუშვებლად;
3. *ადგენს*, რომ პირველი განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი და პროცედურული მხარეები;
4. *ადგენს*, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 (c) პუნქტები;

5. ადგენს, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით სხვა საჩივრების ცალკე განხილვა;
6. ადგენს:
- (a) კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს შემდეგი თანხები თურქულ ლირებში, გადახდის დღეს არსებული კურსით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში:
 - (i) ქ-ნ გიულდერენ ბარანს (სანს) არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად – 60,000 ევრო (სამოცი ათასი ევრო), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება ეს თანხა დაიბეგროს;
 - (ii) ბ-ნ ჰაკი აზიზ ჰუნს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად – 4,800 ევრო (ოთხი ათას ორასი ევრო), პლუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება ეს თანხა დაიბეგროს;
 - (b) ზემოხსენებული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდგომ თანხის გადახდის დღემდე, აღნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტოანი განაკვეთი;
7. უარყოფს განმცხადებლის განმცხადებლების მოთხოვნის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით..

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გაცხადებულია 2010 წლის 20 მაისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სალი დოლე
რეგისტრატორი

ფრანსუა ტულკენსი
თავმჯდომარე